

ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა პროექტი

1.1. პროექტის დასახელება:

ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში

1.2. პროექტის ხელმძღვანელი: რამაზ აბესაძე – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ტელეფონი – 5 51 10 07 05.

ელ. ფოსტა – ramazabesadze@yahoo.com

1.3. ინსტიტუტი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

მოკლე ინფორმაცია ინსტიტუტის შესახებ:

ინსტიტუტი დაარსდა 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. მისი დაარსების ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ინსტიტუტის შექმნის სათავეებთან (მის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ) იდგნენ აკადემიკოსები: სიმონ ჯანაშია, ნიკო კეცხოველი, ირაკლი მიქელაძე, პროფესორები: ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი, ნიკოლოზ ქოიავა და სხვები. ინსტიტუტის დირექტორები ასევე იყვნენ აკადემიკოსი ავთანდილ გუნია (1976–1991), აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა (1991–1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წერეთელი (1996–2008). ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე (2008 წლიდან).

ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებამ დიდი იმპულსი მისცა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას საქართველოში, როგორც სამეცნიერო კვლევების გაძლიერების, ისე სამეცნიერო კადრების აღზრდის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების ეს დარგი მთლიანად იდეოლოგიზებული იყო, მაინც ხერხდებოდა კვლევების ჩატარება ზოგად ეკონომიკურ, მათ შორის, საბაზრო ეკონომიკის პრობლემებზე. ამის დასტურია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა – “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს”, ტერმინოლოგიური და დემოგრაფიული ხასიათის ნაშრომები და სხვა.

ჯერ კიდევ გარდაქმნის პერიოდში ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შექმნაზე. მომზადდა სამი დოკუმენტი: „ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი“ (ხელმძღვანელი – პროფესორი ვლ. პაპავა), „სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოდელი“ (ხელმძღვანელი – აკადემიკოსი ა. გუნია), „საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“ (ხელმძღვანელი – პროფესორი ვლ. პაპავა).

დღეისათვის ინსტიტუტში მეცნიერთა საქმიანობა ორ ძირითად – ფუნდამენტურ (თეორიულ) და გამოყენებით მიმართულებად იყოფა. კვლევები მიმდინარეობს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სრულყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები; მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენციები და საქართველოს ამ პროცესებში ჩართულობის პრობლემები; თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზები; ეკონომიკური განვითარების თავისებურებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ევოლუციის თეორიულ-

გამოყენებითი პრობლემები; საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები და სხვ.

ინსტიტუტი ზედიზედ ორჯერ (2009 და 2010 წლებში) გამოცხადდა ქვეყანაში წლის სუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში (შემდეგ წლებში კონკურსი აღარ ჩატარებულა ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთების გამო).

ყოველწლიურად გამოიცემა სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფიები, ბროშურები და სამეცნიერო სტატიები), რომელთაგან დიდი ნაწილი გამოცემულია საზღვარგარეთ, მათ შორის **იმფაქტ-ფაქტორის** მქონე ჟურნალებში და მაღალი რეიტინგის მქონე გამოცემებში. ამ ნაშრომებში გამოთქმულია არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის იდეა. მათგან აღსანიშნავია “ნეკროეკონომიკის”, “საბაზრო თანასწორობისა” და „ცენტრალური კავკაზის“ თეორია, ლაფერ-კეინზიანური სინთეზის საფუძვლები, მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია „პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის“ სახით, ორიგინალური მოსაზრებები ეკონომიკური განვითარების, საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების, რეგიონული ეკონომიკის, ბიზნესის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფის მიმართულებით და სხვ.

ინსტიტუტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები; ეკონომისტთა წრეებში პოპულარობით სარგებლობს ინსტიტუტის პერიოდული გამოცემები – „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“ და საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“; ინსტიტუტში ფუნქციონირებს სადისკუსიო დარბაზი, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები; მეცნიერთა შრომების საფუძველზე ხორციელდება რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, მათი კრებულად გამოცემა და სათანადო ორგანოებში წარდგენა; ინსტიტუტს ფართო თანამშრომლობა აქვს როგორც ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან; თანამშრომლებს მოპოვებული აქვთ სახელობითი სამეცნიერო პრემიები (მაგალითად, აკადემიკოსი ვლ. პაპავა არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მასვე მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია წიგნისათვის – “Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”, New York, Universe, 2005. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იყო ასევე პროფესორი გ. წერეთელი, ხოლო პროფესორი გიორგი პაპავა იყო კადემიკოს პაატა გუგუშვილის პრემიის ლაურეატი წიგნისათვის – «Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы», стокгольм, С&АСС, 2009), ასევე რუსთაველის ფონდისა და საზღვარგარეთის ფონდების გრანტები; ინსტიტუტის არაერთი თანამშრომელი დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით და სხვ.

დღეისათვის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ერთადერთია მთელ საქართველოში, სადაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ეკონომიკის დარგში. ამდენად, ინსტიტუტის უპირველესი მისიაა ქვეყნის მასშტაბით ტონი მისცეს ეკონომიკური მეცნიერების შემდგომ განვითარებას და მხარი აუზას იმ გამოწვევებს, რომელიც დგას საზოგადოების წინაშე მიმდინარე გარდაქმნებთან დაკავშირებით. ინსტიტუტის მისიად, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, გვესახება ასევე მონაწილეობა ქვეყნის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში, რისი დასტურიცაა ის, რომ ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს “დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის” შექმნაზე, რომლის განხორციელებაც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის მეცნიერული და კულტურული განვითარების საქმეში.

თავისი მისიის შესასრულებლად ინსტიტუტს შესაბამისი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია (ინფორმაციის გაცნობა ასევე შესაძლებელია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე – www.pgie.tsu.org.ge).

1.4. პროექტის ხანგრძლივობა: 2014-2020 წ.წ.

1.5. პროექტის მოკლე შინაარსი:

საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა (იხ. 2.2) მოითხოვს განვითარების სრულიად ახალი გზის არჩევას. პროექტის თემა ეხება სწორედ საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ – ევროინტეგრაციასა და ქვეყანაში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემას. მისი დიდი აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს ეკონომიკური (და, საერთოდ, საზოგადოებრივი) განვითარების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური განვითარების გზით, რასაც ასევე მოითხოვს და ასეთი განვითარების განხორციელებას ხელს უწყობს, ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის პროცესები.

პროექტი მთლიანად პასუხობს „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (საქართველო– 2020)“ და პროექტის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

კვლევის მიზანია შეიმუშაოს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოდელი, რომლის რეალიზაციაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გადასვლას ინოვაციური განვითარების გზაზე, როგორც ევროკავშირის მოთხოვნათა და გამოცდილების გათვალისწინებით, ისე საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ეროვნული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნისა და განვითარების საფუძველზე.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირისა და საქართველოს საინოვაციო პოლიტიკის, ინოვაციური სისტემის, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინოვაციური საქმიანობის გამოცდილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე და საკუთარ კვლევებზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნის გათვალისწინებით, აგებული იქნება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოდელი და შემუშავდება მისი რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა, ასევე განისაზღვრება ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და ევროკავშირში ქვეყნის შესვლის პერსპექტივები.

კვლევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, მის გადასვლას ინოვაციური განვითარების გზაზე, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში პროგრესული ცვლილებების მიღწევას და, ამის საფუძველზე, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

პროექტის მეცნიერული ღირებულება ძირითადად განისაზღვრება მისი გამოყენებითი ხასიათით. კვლევის (რომელსაც აქვს კომპლექსური ხასიათი და რითაც იგი განსხვავდება აქამდე მსოფლიოში არსებული სხვა კვლევებისაგან) შედეგად განზოგადდება ევროკავშირში, მის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში ინოვაციის სფეროში არსებული გამოცდილება და მოხდება მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რის საფუძველზეც, და ევროინტეგრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აიგება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და

განვითარების მოდელი. მოდელის აგებისას შემოთავაზებული იქნება ორიგინალური წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოში ძირითადად საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული საინოვაციო პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ფორმირების, ევროგამოცდილების გაზიარების, ევროტექნოლოგიების საქართველოს ეკონომიკაში დიფუზიის, წარმოების ორგანიზაციის შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების, ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ევროკავშირში გაერთიანების დაჩქარების შესახებ და სხვ.

კვლევას ექნება თეორიული ღირებულებაც, ვინაიდან მასში მიღებული დასკვნები და წინადადებები გამოიწვევს მსოფლიოში აღნიშნულ სფეროში არსებული თეორიული შეხედულებების გამდიდრებას, უმთავრესად, ორი პრობლემის (ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხილვისა და პროექტის კომპლექსური ხასიათიდან (მოიცავს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს) გამომდინარე სიახლეებით.

პროექტი გათვლილია 7 წელზე. ყოველ წელს გადაწყდება პროექტის ერთი მსხვილი ამოცანა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება:

1. ევროკავშირის მოთხოვნათა ღრმა ანალიზი “საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების”, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“, „ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების“ პარაფირებული დოკუმენტისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, ასევე საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გამოკვლევა როგორც მაკროეკონომიკურ, ისე დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში, ევროინტეგრაციის მოთხოვნათა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით.

2. ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში არსებული საინოვაციო პოლიტიკის შესწავლა და მისი შედეგებითი ანალიზი საქართველოს საინოვაციო პოლიტიკასთან.

3. ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ს, იაპონიისა და საქართველოს საინოვაციო სისტემის შედარებითი ანალიზი შემადგენელი სფეროების (მეცნიერება; განათლება; ინოვაციების ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა; კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის, სამეცნიერო კვლევების მომსახურების, ინოვაციური პროცესების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა; ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ინსტრუმენტები და ა.შ.) მიხედვით.

4. ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინოვაციური საქმიანობის გამოცდილების შედარებითი ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ ამ ტექნოლოგიების საქართველოს ეკონომიკაში დიფუზიის შესაძლებლობები.

5. ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-სა და იაპონიის მაგალითზე საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო, ქსელური და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების გამოცდი-

ლების გამოკვლევა და შედარებითი ანალიზი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

6. ევროკავშირის მოთხოვნებთან და გამოცდილებასთან (ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან) ორგანულ კავშირში საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მექანიზმის აგება და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა დასახვა, მათი ეკონომიკური უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გათვალისწინებით.

7. საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობათა დადგენა ევროინტეგრაციის დაჩქარების მიმართულებით და ევროკავშირში გაერთიანების პერსპექტივების განსაზღვრა.

ყოველი ამოცანის გადაჭრის შემდეგ:

1. მომზადდება რეკომენდაციები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად.

2. ცოდნის გადაცემის მიზნით მოხდება მიღებული შედეგების ასახვა შესაბამის სალექციო კურსებში.

3. შედეგები გამოიცემა სამეცნიერო სტატიის ან ბროშურის სახით.

პროექტის დასრულების შემდეგ მოხდება მისი პრეზენტაცია და გამოიცემა წიგნი – „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები საქართველოში“. პროექტის შედეგები მოხსენდება სამეცნიერო ფორუმებს და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

ინსტიტუტის სამეცნიერო ღონისძიებები და ინიციატივები:

1. ენციკლოპედიური საქმიანობა:

ინსტიტუტი მუშაობს (საზოგადოებრივ საწყისებზე) პროექტზე: „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია“.

2. პერიოდული სამეცნიერო გამოცემები:

1. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. გამოდის 2009 წლიდან ორ თვეში ერთხელ.

2. „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“. გამოდის წელიწადში ერთხელ.

3. სამეცნიერო კრებულების გამოცემა:

1. ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოხსენებათა მასალების კრებული.

2. რეკომენდაციებისა და წინადადებების კრებული.

4. სამეცნიერო მონოგრაფიების, ბროშურებისა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

5. თანამშრომელთა კვლევების საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

6. ყოველწლიურად ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზება.

7. მონაწილეობის მიღება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში.

8. მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში და სამეცნიერო კადრების მომზადებაში.
9. სამეცნიერო საგრანტო პროექტების წარდგენა რუსთაველის ფონდსა და სხვა საერთაშორისო ფონდებში.
10. საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება.
11. დისკუსიების, სემინარების ორგანიზება და სხვა.
12. სამეცნიერო მოხსენებების მოსმენა სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე.
13. ეკონომიკური პრობლემებისა და წიგნების განხილვა ინსტიტუტთან არსებულ სადისკუსიო დარბაზის სხდომებზე.
14. მონაწილეობის მიღება სასწავლო და სამეცნიერო კადრების აღზრდის პროცესებში.
15. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელება ინსტიტუტის ბაზაზე.
16. საგამომცემლო საქმიანობა და სხვ.

1.6. არსებული აღჭურვილობა და დანადგარები:

ინსტიტუტი განთავსებულია შენობაში, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მის ბალანსზე იყო, ამჟამად კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განკარგულებაშია და ჯერ არ მომხდარა მისი უნივერსიტეტისათვის გადაცემა. შენობა საჭიროებს გარკვეული სახის რემონტს. ინსტიტუტის ძირითად ტექნიკურ აღჭურვილობას წარმოადგენს კომპიუტერები (რომელთა რაოდენობა ბოლო წლებში გაიზარდა), ნოუტბუკები, პროექტორი, მიკროფონი, ხმის გამამდიერებელი, გამათბობლები, რადიო და მობილური ტელეფონები, თითოეული თანამშრომელი უზრუნველყოფილია სამუშაო ადგილით. ინსტიტუტი ფლობს საკმაოდ დიდი მოცულობის ბიბლიოთეკას, აღჭურვილია ცეცხლჩამაქრობლებით.

1.7. პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური დარგები:

სამეცნიერო მიმართულება – ეკონომიკა, დარგები – მაკროეკონომიკა, სექტორული და რეგიონული ეკონომიკა, ფინანსები და საბანკო საქმე, საერთაშორისო ეკონომიკა, მიკროეკონომიკა.

1.8. პროექტის სავარაუდო ღირებულება:

პროექტი გათვლილია 54 თანამშრომელზე, სადაც შედიან მეცნიერები და დამხმარე პერსონალი (სპეციალისტები, დაცვის თანამშრომლები, დამლაგებლები, ტექნიკოსი).

ბიუჯეტი ითვალისწინებს ინსტიტუტის შევსებას ახალგაზრდა მეცნიერებით. ზოგიერთი ღონისძიება (პრეზენტაციები, წიგნებისა და სტატიების გამოცემა, ანკეტური გამოკითხვები და სხვ. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებაში არ აისახება) დაფინანსდება ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებით.

ღირებულებები (1000 ლარი)	წ. 1	წ. 2	წ. 3	წ. 4	წ. 5	წ. 6	წ. 7	ჯამი
ხელფასი	440	480	528	580	638	701	771	4 138
შესაძენი	2	2	2,5	2,5	3	3	3,5	18,5

დანადგარები								
მასალები								
სხვა პირდაპირი ხარჯები								
მვლინებები	10	11	12	13	14	15	16	91
კომუნალური ხარჯები	8	10	11	12	13	14	15	83
ჯამი	460	503	553,5	607,5	668	733	805,5	4 330,5

2.1. პროექტის აღწერილობა:

2.2. შესავალი:

კვლევის ობიექტი – საქართველოს ეკონომიკა

პრობლემის აქტუალობა:

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. ასეთი კონდიციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების, მეცნიერების, ინდუსტრიული და აგრარული სექტორების განვითარების, დარგობრივი და სოციალური სტრუქტურების სრულყოფისა და ა.შ. გზით.

საქართველოში რეფორმების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟირინგული, კოლსანტინგური, საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექსპორტს რამდენჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.). წლების განმავლობაში საქართველოში სახეზე გვაქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა, არაეფექტიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას. სახეზეა ასევე სამუშაო ძალის არასასურველი მიგრაცია. უცხოეთში იმყოფება კვალიფიციური, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი არაკვალიფიციური სამუშაოების შესასრულებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეროვნულ ადამიანისეულ კაპიტალს და ა.შ. ყოველივე ეს წინააღმდეგობაშია ინოვაციური ეკონომიკის პრინციპებთან.

განსაკუთრებით ძლიერ განუვითარებელი და არაეფექტიანია ქვეყნის საინოვაციო სისტემა, კერძოდ:

1. სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: შეუდარებლად მცირეა მეცნიერთა ხელფასი, საგანგაშოდ კლებულობს მათი რაოდენობა, მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

2. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნასა და ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

3. დაბალგანვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდელი, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები).

4. თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.).

5. არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები და სხვ.

6. დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, არ არსებობს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა და ინოვაციური მცირე საწარმოები.

7. არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საინოვაციო პოლიტიკა - შესაბამისი სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი; არ არსებობს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმები.

8. განსაკუთრებით უგულვებელყოფილია რეგიონული საინოვაციო საქმიანობა.

9. არ ხდება დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერა, რასაც ნულამდე დაყავს დონორთა საქმიანობა.

10. განუვითარებელია საგრანტო სისტემა და დაბალია მისი მენეჯმენტი.

11. თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, თითქმის არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე.

12. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები. ინოვაციების იმპორტი შედარებით ხორციელდება მხოლოდ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც განაპირობებს ის, რომ არსებობს

ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და სხვ.

13. ბიზნესი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. იმყოფებიან რა მძაფრ კონკურენციულ ბრძოლაში საზღვარგარეთის ფირმებთან, კარგავენ ბაზრებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ფირმებისათვის დამახასიათებელია ინოვაციური საქმიანობის დაბალი დონე.

ამიტომ, რომ საქართველოს საინოვაციო პოტენციალისა და ტექნოლოგიების ათვისების უნარის რეიტინგებში დაბალი შეფასებები აქვს

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მთავრობისაგან განსხვავებით, ახალი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების აუცილებლობას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით ვითარდება არა ინოვაციური გზით. წინა ხელისუფლება ამას ხსნიდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით, რომ, თითქოს, მხოლოდ საბაზრო მექანიზმმა უნდა მოაწესრიგოს ეკონომიკის ყველა სფერო. ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა არ არსებობდა, ვინაიდან მასში უხეშად ერეოდა სახელმწიფო და, მეორეც, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა სრულიადაც არ გამორიცხავს სახელმწიფოს აქტიურ ეფექტიან ჩარევას ეკონომიკაში. პირიქით, სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისა – მან უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების მაქსიმალური დაცვა; ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ოპტიმალური გადასახადები და სოციალური დახმარებები; მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს მეცნიერების განვითარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დასაწერგვად, ინოვაციების განხორციელების გზით და ა.შ. სწორედ სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა. სწორედ მან უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით და ა. შ.

მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითდინებით. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით.

ვინაიდან საქართველომ აირჩია გზა ევროპისაკენ, ამიტომ ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების გზა მჭიდროდ უკავშირდება ევროინტეგრაციის გზას.

ევროინტეგრაციის მიმართულებით საგრძნობი წარმატებები უკვე მიღწეულია – საქართველომ მოახდინა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პარაფირება. მაგრამ ეს უფრო მეტად პოლიტიკურ სფეროში მიღწეული წარმატებაა. რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, ჯერჯერობით, აქ საქმე გაცილებით რთულადაა. საქართველო ჯერ კიდევ შორსაა დააკმაყოფილოს ევროკავშირში ეკონომიკური გაერთიანების მოთხოვნები. ეს ეხება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასაც.

ევროინტეგრაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, ვინაიდან ევროკავშირის მოთხოვნები საქართველოში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გარეშე ვერ შესრულდება და ევროინტეგრაცია დააჩქარებს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესს. მაგრამ, ამავე დროს, საქართველომ ეს პროცესი უნდა განახორციელოს არა მხოლოდ წამყვანი ქვეყნების ტექნოლოგიების (რაც ასევე მნიშვნელოვანია) გადმოღების გზით, არამედ საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით.

ამდენად პროექტის აქტუალობა და უნიკალურობა სახეზეა, ვინაიდან იგი უკავშირდება მომავალში ჩვენი ქვეყნის დაჩქარებულ განვითარებას, ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა დარგში და, საერთოდ, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

კვლევის სიახლე:

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირისა (ასევე მასში შემავალი ქვეყნების, აშშ-სა და იაპონიის) და საქართველოს საინოვაციო პოლიტიკის, ინოვაციური სისტემის, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინოვაციური საქმიანობის გამოცდილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე და საკუთარ კვლევებზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნის გათვალისწინებით, აგებული იქნება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოდელი და შემუშავდება მისი რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა, ასევე განისაზღვრება ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და ევროკავშირში ქვეყნის შესვლის პერსპექტივები.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს:

- ევროკავშირის ფუძემდებლური დოკუმენტების, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტების სიღრმისეული ანალიზი და განზოგადება;
- შესასწავლი საკითხების ირგვლივ მსოფლიოში, მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ამჟამად დაგროვებული გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება, განზოგადება, ანალოგიების შექმნა, მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო გზების ძიება და გამოყენება;
- კვლევის დროს პოსტკომუნისტური ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოთა ოფიციალური დადგენილებების, კანონების, ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინება;

- კვლევის დროს შესასწავლი საკითხების შესახებ ამჟამად არსებული ყველა ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, აგრეთვე სამეცნიერო ფორუმების მასალების გამოყენება;
- კვლევის დროს ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, ეკონომიკური და მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ანალიზის, პროგნოზირების (სახელდობრ საექსპერტო შეფასებების, სცენარების და ა.შ.), ანკეტური გამოკითხვისა და სხვა მეთოდების გამოყენება.
- თვისებრივი გამოკვლევები წარმოების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების აღებისა და ექსპერტთა გამოკითხვის გზით;

2.3. არსებული ლიტერატურული მონაცემები:

პროექტის თემასთან დაკავშირებით უამრავი ლიტერატურა არსებობს, როგორც წამყვან ქვეყნებში, ისე განვითარებულ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული ასევე პროექტის მონაწილეებს (იხ. დანართი 1) აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **რამაზ აბესაძეს**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს **ვახტანგ ბურდულს**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი ბერულავს**, ეკონომიკის აკადემიურ დოქტორებს **თამარ ბერუჩაშვილს**, **ზურაბ რევიშვილს**, **იზა ნათელაურს**, **მამუკა ხუსკივაძეს**, **თეა ლაზარაშვილს**, **ნანა ბიბილაშვილს**, **გიორგი სიგუას**, **ეთერ კაკულიას** და სხვებს. მათ ნაშრომებში გამოკვლეულია პოსტკომუნისტურ საქართველოში განხორციელებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში არსებული მდგომარეობა, ევროკავშირთან ინტეგრაციის პრობლემები, ქვეყნის ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობები და ა. შ. ამ ნაშრომებში მიღებული შედეგები წარმატებით იქნება გამოყენებული პროექტის განხორციელების დროს.

ინოვაციებისა და ინოვაციური ეკონომიკის თეორიული პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში მაღალ დონეზეა დამუშავებული ცნობილ მეცნიერთა შუმპეტერის, ე. ტოფლერის, დ. ბელის, მ. პორტერისა და სხვათა შრომებში¹.

ინოვაციური ეკონომიკისა და ევროკავშირთან ურთიერთობების პრობლემები აისახება ქართველ მეცნიერთა ნაშრომებშიც², რომლებშიდაც განიხილება ინოვაციური ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები და ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პრობლემები.

მრავალი ნაშრომი ეძღვნება ინოვაციური ეკონომიკისა და ევროინტეგრაციის პრობლემებს უცხოეთში (იხ. დანართი 2), მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს. ამ ნაშრომებში შეიწავლება პოსტკომუნისტური ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის პრობლემები, ამ პროცესის ხელისშემწყობი და

¹ **Шумпетер И.** Теория экономического развития. М. "Эксмо", 2007; **Топфлер Э.** «Третья волна»: ООО «Фирма». М., «АСТ», 2010; **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. М., Академия, 1999; **Портер М.** Международная конкуренция: Конкурентные преимущества стран. — М., Международные отношения, 1993;

² მაგ. **ლ. ჩიქავა.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ. „სიახლე“, 2006; **შატერაშვილი ი.** მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია (<http://www.inovdev.ge/?page=pubgeo&lang=geo>); **გოგოძე ი.** ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი, თბ., 2013; **ფუტყარაძე რ.** საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. „უნივერსალი“, 2010 და სხვ.

ხელისშემშლელი ფაქტორები (მათ შორის საქართველოში). ავტორები მიუთითებენ ევროინტეგრაციის, როგორც რთული ტრანსფორმაციული პროცესის შესახებ და სხვ.

ზემოთ მოყვანილ და ბევრ სხვა ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს პროექტის განხორციელებისათვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ექნება.

2.4. პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება:

პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, მის გადასვლას ინოვაციური განვითარების გზაზე, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში პროგრესული ცვლილებების მიღწევას, და ამის საფუძველზე, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

პროექტის მეცნიერული ღირებულება ძირითადად განისაზღვრება მისი გამოყენებითი ხასიათით. კვლევის შედეგად განზოგადდება ევროკავშირში, მის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში ინოვაციის სფეროში არსებული გამოცდილება და მოხდება მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რის საფუძველზეც, და ევროინტეგრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აიგება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების მოდელი. მოდელის აგებისას შემოთავაზებული იქნება ორიგინალური წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოში ძირითადად საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირების, ევროგამოცდილების გაზიარების, ევროტექნოლოგიების საქართველოს ეკონომიკაში დიფუზიის, წარმოების ორგანიზაციის შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების, ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ევროკავშირში გაერთიანების დაჩქარების შესახებ და სხვ.

კვლევას ექნება თეორიული ღირებულებაც, ვინაიდან მასში მიღებული დასკვნები და წინადადებები გამოიწვევს მსოფლიოში აღნიშნულ სფეროში არსებული თეორიული შეხედულებების გამდიდრებას, უმთავრესად, ორი პრობლემის (ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხილვისა და პროექტის კომპლექსური ხასიათიდან (მოიცავს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს) გამომდინარე სიახლეებით.

3.1. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები ეტაპების ჩვენებით და მოსალოდნელი შედეგები სათანადო ინდიკატორებით

ამოცანა 1

ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა*

* აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გამოყენებული იქნება ინსტიტუტში წინა წლებში შესრულებული სამუშაოები (ძირითადად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ) და თითოეული ქვეამოცანის გადაწყვეტის დროს მოხდება მათი განახლება და გაძლიერება ევროკავშირის მოთხოვნებისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით

განხორციელების ვადა – 2014 წელი

ამოცანის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის სავარაუდო თემატიკა:

1. ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნები.
2. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული პრობლემები.
3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შედეგები საქართველოში.
4. საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე საქართველოში.
5. მეწარმეობის განვითარება პოსტკომუნისტურ საქართველოში.
6. სექტორული ეკონომიკის განვითარების მდგომარეობა (მრეწველობა და მისი დარგები, მშენებლობა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, მომსახურება, სექტორული ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემები) საქართველოში.
7. რეგიონული ეკონომიკის პრობლემები საქართველოში.
8. ბუნებათსარგებლობის, ბუნების დაცვისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში.
9. საფინანსო და საბანკო სისტემის განვითარება საქართველოში.
10. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება საქართველოში.
11. სოფლის პრობლემები (სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, მონადირეობა, სასოფლო ინფრასტრუქტურა) საქართველოში.
12. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობა საქართველოში.

მოსალოდნელი შედეგები:

გამოკვლევული იქნება პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები ევროკავშირის მოთხოვნათა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით. შეფასდება მთლიანად ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში არსებული მდგომარეობა, გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებული იქნება შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური (საერთო, დარგობრივი და რეგიონული) პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით.

ამოცანა 2

ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ის, იაპონიისა და საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და მისი უზრუნველყოფის ეკონომიკური ინსტრუმენტები

განხორციელების ვადა – 2015 წელი

ამოცანის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის სავარაუდო თემატიკა:

1. ევროკავშირის ერთიანი სამეცნიერო პოლიტიკა (ევროპის ერთიანი კვლევითი სისტემის (European Research Area – ERA შექმნა); მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და

- ინფრასტრუქტურის განვითარება; ფუნდამენტური კვლევების სტიმულირება; სამეცნიერო კადრები; კერძო სექტორში კვლევების მხარდაჭერა და ა. შ.).
2. ინოვაციის ტრენდები ევროპაში (the Trend Chart on Innovation in Europe).
 3. ევროპული ინოვაციური ტაბლოიდები (the European Innovation Scoreboard).
 4. ევროკავშირის პოლიტიკა განათლების სფეროში (უწყვეტი განათლება და მისი პრინციპები, განათლების სახელწიფო მხარდაჭერა და სხვ.).
 5. პარტნიორობის ახალი ფორმები კერძო ბიზნესს, მთავრობასა და აკადემიურ წრეებს შორის.
 6. ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა.
 7. ევროკავშირის რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა.
 8. ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა.
 9. მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკა ევროკავშირში.
 10. ევროკავშირის პოლიტიკა კვლევების კომერციალიზაციის დარგში.
 11. ევროკავშირის პოლიტიკა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.
 12. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა.
 13. ევროკავშირის პოლიტიკა კულტურის სფეროში.
 14. ევროკავშირის საერთო ინოვაციური და ევროკავშირში შემავალი ცალკეული ქვეყნების საინოვაციო პოლიტიკის ურთიერთშეხამება.
 15. ინოვაციური პოლიტიკის ეკონომიკური უზრუნველყოფის ინსტრუმენტები.
 16. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის და მოწინავე ქვეყნების (აშშ, იაპონია) საინოვაციო პოლიტიკა.
 17. საქართველოს საინოვაციო პოლიტიკა ევროპის (ასევე აშშ-სა და იაპონიის) საინოვაციო პოლიტიკასთან მიმართებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

განაალიზებული ინება ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-სა და იაპონიის საინოვაციო პოლიტიკა და მოხდება მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს საინოვაციო პოლიტიკასთან, რის შედეგადაც გამოვლინდება საქართველოს საინოვაციო პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოხდება მისი შეფასება. ქვეამოცანების გადაჭრისას განხილული იქნება საინოვაციო პოლიტიკათა ეკონომიკური უზრუნველყოფის ინსტრუმენტები. მომზადდება წინადადებები და რეკომენდაციები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად.

ამოცანა 3

ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ს, იაპონიისა და საქართველოს ინოვაციური სისტემა და მისი უზრუნველყოფის ეკონომიკური ინსტრუმენტები

განხორციელების ვადა – 2016 წელი

ამოცანის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის სავარაუდო თემატიკა:

1. ევროკავშირის სამეცნიერო სისტემა.
2. ევროკავშირის განათლების სისტემა.
3. ევროკავშირის ინოვაციური სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა.
4. ევროკავშირში ინოვაციების ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა.
5. ევროკავშირში ინოვაციური პროცესების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.
6. კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა (ბიზნესინკუბატორები, ტექნო პარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.) ევროკავშირში.
7. სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიის, სამოდულო , ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები ევროკავშირში.
8. ტექნოლოგიების სატრანსფერო სისტემა ევროკავშირში.
9. მცირე ინოვაციური ფირმები ევროკავშირში.
10. საკადრო პრობლემები და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონე ევროკავშირში.
11. საინვესტიციო ფონდები ევროკავშირში.
12. ინოვაციების მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტები.
13. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (აშშ, იაპონია) საინვესტიციო სისტემები.
14. საქართველოს საინოვაციო სისტემა ევროპის (ასევე აშშ-სა და იაპონიის) საინოვაციო სისტემასთან მიმართებაში.
15. საინოვაციო სისტემის ეკონომიკური უზრუნველყოფის ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი შედეგები:

შესწავლილი იქნება ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ის, იაპონიისა და საქართველოს საინოვაციო სისტემათა შედარებითი ანალიზი მისი შემადგენელი სფეროების მიხედვით (მეცნიერება, განათლება, ინოვაციების ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, ინოვაციური პროცესების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა, კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა და ა.შ.). გამოკვლეული იქნება ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ინსტრუმენტები. მომზადდება წინადადებები და რეკომენდაციები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად.

ინდიკატორები:

ამოცანა 4

საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო, ქსელური და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების გამოცდილება ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში და მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან

განხორციელების ვადა - 2017 წელი

ამოცანის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის სავარაუდო თემატიკა:

1. საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში.
2. მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში.
3. საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილება ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში.
4. ქსელური ეკონომიკის ფუნქციონირების გამოცდილება ევროკავშირში, აშშ-ში და იაპონიაში.
